ევროკავშირი
საქართველოსთვის

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე

ევროკავშირი საქართველოსთვის

IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „სასამართლო რეფორმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მრავალმხრივი ქმედებით ფასილიტაცია“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი 5

ძირითადი მიგნებები 7

მეთოდოლოგია 8

1. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა, როგორც კონსტიტუციური ღირებულება და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება 10

1.1. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა 11

1.2. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება 14

1.3. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები 15

2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტები - მოთხოვნების შინაარსობრივი მიმოხილვა 17

2.1. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები 17

2.1.1. პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები შეკრება-მანიფესტაციაში მონაწილე პირების წინააღმდეგ 18

2.1.2. საქმეები საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ 19

2.1.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ 20

2.2. სასამართლო დავები ოლიგარქიული ინტერესებით და გავლენებით 21

2.3. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაინტერესებით მიმდინარე სასამართლო დავები 23

2.3.1. სასამართლო კლანის ჩარევა ხელისუფლების დანაწილების და დემოკრატიული კონტროლის საზიანოდ 23

2.3.2. მოსამართლეების მიერ წარდგენილი სხვა სარჩელები 25

2.4. სასამართლო დავები, რომლებშიც დავის საგანი აღემატება რამდენიმე მილიონ ლარს 26

2.5. მაღალი თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი თუ ფინანსური ინტერესები 27

2.5.1. „ქართული ოცნების" მაღალი თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების დაინტერესებით მიმდინარე საქმეები 27

2.5.2. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების მიმართ წარმოებული საქმეები 29

2.6. გახმაურებული საქმეები 30

2.7. ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის საქმეები ... 31

3. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა პრაქტიკაში - შედეგების შეჯამება 32

3.1. შედეგების რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზი..... 33

დასკვნა 38

შესავალი

მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა არსებითია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნებაყოფლობითი მიმღებლობისთვის.[1] სასამართლო სისტემა არა მხოლოდ დამოუკიდებლობის გარანტიებით უნდა იყოს აღჭურვილი, არამედ საკუთარი ქმედებით მოიპოვებდეს და ინარჩუნებდეს დამოუკიდებლობის აღქმას ფართო საზოგადოებაში.[2] ის, რასაც მოსამართლეები ახორციელებენ – მართლმსაჯულების პროცესი და მისი შედეგი – უნდა იყოს ფართოდ ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი დაკვირვებისთვის,[3] რამაც უნდა შეასრულოს სასიცოცხლო ფუნქცია სასამართლოს მიუკერძოებლობის და პოლიტიკური მოტივაციის არარსებობის შესახებ პოზიტიური აღქმის ჩამოყალიბებისთვის.[4] მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა შერჩევითი და მიკერძოებული მართლმსაჯულების გამოსარიცხად და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის ჩამოსაყალიბებლად დადასტურებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.[5]

ბოლო ათწლეულში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, საქართველოს სასამართლო სისტემა ფუნდამენტური გამოწვევების წინაშეა და ნდობის მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის.[6] ევროპული კომისიის ბოლო ანგარიშის მიხედვით, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება საქართველოში რეგრესს განიცდის,[7] დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართულებით არსებული სისტემური გამოწვევები გადაუჭრელია, ხოლო მოსამართლეთა კეთილსინდისიერების ექსტრაორდი-

[1] Grimmelikhuijsen, S.G., and Klijn, A., The effect of judicial transparency on public trust: evidence from a field experiment, Public Administration (in press), 2015, 2.
[2] T.S. Ellis III, Sealing, Judicial Transparency and Judicial Independence, 53 Vill. L. Rev. 939, 2008, 939-940.
[3] იქვე, 940.
[4] Grimmelikhuijsen, S.G., and Klijn, A., The effect of judicial transparency on public trust: evidence from a field experiment, Public Administration (in press), 2015, 19.
[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 42-51.
[6] European Commission, Georgia 2024 Report, SWD(2024) 697 final, 2024.
[7] იქვე, 5.

ნარული შემოწმების განხორციელების საჭიროება კვლავ დღის წესრიგში დგას.[8]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილების კანონმდებლობაში იმპლემენტაციას პოლიტიკური შეთანხმება, ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ერთის ნაცვლად 5 წელი დასჭირდა. 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ცვლილებები, რომელმაც არსებითად გააუმჯობესა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის ნორმატიული გარანტიები, თუმცა ამ უფლების პრაქტიკული რეალიზება კვლავ ვერ ხერხდება.

სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლო სისტემაში არაფორმალური გავლენები მთავარ პრობლემად,[9] ხოლო შერჩევითი მართლმსაჯულება ამგვარი არაფორმალური გავლენების არსებობის ერთ-ერთ მტკიცებულებად სახელდება. ამ ფონზე, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ანგარიში მიმოიხილავს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ და საკანონმდებლო სტანდარტებსა და პრაქტიკულ გამოწვევებს. ანგარიშის მიზანია, იმ კონტრასტის შეფასება, რომელიც ნორმატიულ მოთხოვნებსა და რეალურ მდგომარეობას შორის არსებობს. კანონმდებლობასა და რეალობას შორის აცდენა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება, თუმცა წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის იგი კონცენტრირდება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე.

[8] იქვე, 33.

[9] კერძოდ, სასამართლოს განვლილი რეფორმები ფასდება, როგორც სასამართლოს ინსტიტუციური მოდერნიზაციის ფასადური მცდელობა, რომელმაც ვერ შეძლო მთავარ გამოწვევასთან - სასამართლო სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაციასა და არაფორმალურ გავლენებთან - გამკლავება (კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, 2023, 7.). ეს გავლენები, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი შეფასებით მოხსენიებულია როგორც კლანური მმართველობა, (U.S Department of State, Country Reports on Human Rights Practices: Georgia, 2023, 14.), კორპორატიზმი (European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Opinion “On the December 2021 Amendments to the Organic Law on Common Courts”, 2022, პარ. 60.) თუ კრონიზმი (იქვე).

ძირითადი მიგნებები

- საერთო სასამართლოების სისტემა განაგრძობს საქართველოს კონსტიტუციისა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის დარღვევას. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე სასამართლო აქტები საზოგადოებისთვის კვლავ არ არის ხელმისაწვდომი;

- IDFI-მ შვიდი სხვადასხვა კატეგორიის ფარგლებში გამოვლენილ საქმეებზე, 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 5 მარტის ჩათვლით, საერთო სასამართლოებში **111** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა წარადგინა. სასამართლო აქტის ასლის გადმოცემის თაობაზე წარდგენილი მოთხოვნების დაახლოებით **90%** სასამართლოების მხრიდან ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა, დანარჩენ შემთხვევაში IDFI-ს უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის განცხადების პასუხად სასამართლო აქტის გაცემაზე:

    - ➔ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების კატეგორიის ფარგლებში გაგზავნილი 50 მოთხოვნიდან, უპასუხოდ დარჩა 48;

    - ➔ ოლიგარქიული ინტერესით და გავლენებით მიმდინარე სასამართლო დავების კატეგორიის ფარგლებში წარდგენილი 8 მოთხოვნიდან, რეაგირების გარეშე დარჩა რვავე მოთხოვნა;

    - ➔ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაინტერესებით მიმდინარე სასამართლო დავების კატეგორიის ფარგლებში გაგზავნილი 18 მოთხოვნიდან, ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა 13;

    - ➔ მრავალმილიონიანი დავების კატეგორიის ფარგლებში წარდგენილი 5 მოთხოვნიდან, რეაგირების გარეშე დარჩა ხუთივე მოთხოვნა;

    - ➔ მაღალი თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი თუ ფინანსური დაინტერესებით მიმდინარე დავების კატეგორიის ფარგლებში წარდგენილი 9 მოთხოვნიდან, უპასუხოდ დარჩა 8;

    - ➔ გახმაურებული საქმეების კატეგორიის ფარგლებში გაგზავნილი 15 მოთხოვნიდან, თხუთმეტივე მოთხოვნა დარჩა ყოველგვარი რეაგირების გარეშე;

- ➔ ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების კატეგორიის ფარგლებში გაგზავნილი 6 მოთხოვნიდან, ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა 3.

- საანგარიშო პერიოდში, IDFI-ს, საჯარო ინფორმაციის განცხადებაზე პასუხად, სასამართლო აქტის ასლი **არც ერთ შემთხვევაში არ მიეწოდა;**

- იმ საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც სასამართლო რეაგირებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებაზე, სასამართლო აქტის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებს მიზეზებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას:

  - ➔ სასამართლო აგრძელებს კანონმდებლობის ცხადი მოთხოვნის დარღვევას და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ფორმალური მითითებით, ხშირად, უარს ამბობს ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტის ასლის განმცხადებლისთვის გაცემაზე;

  - ➔ ცხადი და არაორაზროვანი ნიშნებით (მათ შორის დავის მხარეები, დავის საგანი, განმხილველი მოსამართლე და სხვა) სასამართლო აქტის ასლის მოთხოვნისას, ხშირია მითითება, რომ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით სასამართლო საქმეებს არ ამუშავებს.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადებისას ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დაეყრდნო სამეცნიერო ლიტერატურას, ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტების შეფასებებს, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით IDFI-ს წინარე ანგარიშებსა და შეფასებებს, საკანონმდებლო ბაზის ანალიზს, სასამართლო პრაქტიკას და საჯარო ინფორმაციის სახით პრაქტიკაში სასამართლო აქტების გამოთხოვას.

ვინაიდან ანგარიშის მიზნებისთვის, შეფასებას დაექვემდებარა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე სასამართლო აქტების

ხელმისაწვდომობა, IDFI-მ ამ მიზნებისთვის გამოჰყო რამდენიმე მაკვალიფიცირებელი გარემოება (ინდიკატორი), რომლებიც არსებითად ზრდის მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და შესაბამის საქმეებზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საზოგადოებრივ ინტერესს. ამ ტიპის საქმეები გამოიყო საქმეთა რელევანტურობის გათვალისწინებით, შერჩევითი/სელექციური მართლმსაჯულების, მართლმსაჯულების პირადი, პოლიტიკური გამოყენების ისევე, როგორც კორუფციის რისკებისა და მართლმსაჯულების პოლიტიკური მედეგობის შესაფასებლად. IDFI-მ აღნიშნული ნიშნების მიხედვით გამოყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე შვიდი კატეგორია და ცალ-ცალკე შეაფასა თითოეული კატეგორიის ქვეშ გაერთიანებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი.

ამ მიზნით, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი პრაქტიკული მიგნებები ეყრდნობა **2024 წლის 1 იანვრის**[10] შემდგომ IDFI-ს მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებში წარდგენილ **111** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე დაგროვებულ პრაქტიკას, **2025 წლის 31 მარტის** მდგომარეობით. კერძოდ, შეფასებას დაექვემდებარა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თითოეული კატეგორიის ქვეშ გაერთიანებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სასამართლოების რეაგირება, მათ მიერ გაკეთებული განმარტებები და სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობისას გამოვლენილი პრაქტიკული დაბრკოლებები.

შინაარსობრივი თვალსაზრისით, წინამდებარე ანგარიში აფასებს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების პასუხად. შესაბამისად, მის მიზანს არ წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტიანია ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი. მიუხედავად ამისა, იმ მოთხოვნებთან მიმართებით, რომლებზედაც IDFI-მ წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, დოკუმენტში ასახულია შესაბამისი შედეგი.

[10] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში საჯარო ინფორმაციის მომწესრიგებელი ნორმის ძალაში შესვლის თარიღი.

1. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა, როგორც კონსტიტუციური ღირებულება და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება

2015 წლიდან დაიწყო სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის შესამჩნევი გაუარესება. კერძოდ, ამ პერიოდიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა შეიზღუდა და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მითითებით, მათ გაცემაზე უარის თქმის პრაქტიკა დამკვიდრდა.[11] ამ გაუარესებიდან მალევე[12] დაიწყო საკონსტიტუციო სამართალწარმოება სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის სტანდარტების დასამკვიდრებლად. საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით, დაამკვიდრა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური სტანდარტი. სასამართლოს განმარტებით, „სწორედ გამჭვირვალე, ღია მართლმსაჯულებას შესწევს ძალა, ჰქონდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა და გადაწყვეტილების საზოგადოების სახელით მიღების შესაძლებლობა".[13]

საკონსტიტუციო სასამართლომ, სასამართლო აქტი აღიარა ისეთ ინფორმაციად, რომლის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი[14] და ზოგადი წესის სახით, მის ღიაობას უპირატესობა მიანიჭა გარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებისა, როდესაც თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე კონსტიტუციურ ღირებულებათა შეპირისპირებით დადგინდება სხვა ღირებულების[15] დაცვის აღმატებული ინტერესი.[16]

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან, რითაც საქართველოს პარლამენტს მიეცა ვადა,

---

[11] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, 2016.

[12] 2015 წლის 20 ნოემბერს კონსტიტუციური სარჩელი (N693) შეიტანა ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდმა", ხოლო 2016 წლის 22 ნოემბერს – ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (N857).

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 45.

[14] იქვე, პარ. 51.

[15] სასამართლო, აღნიშნული გადაწყვეტილების ფარგლებში, დავის საგნიდან გამომდინარე მსჯელობს მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე.

[16] იქვე.

გადაწყვეტილებაში აღწერილი ბალანსის შესაბამისად დაედგინა ნორმატიული მოწესრიგება. გადაწყვეტილების აღსასრულებელი საკანონმდებლო ცვლილებების მიღება გაჭიანურდა მანამ, სანამ აღნიშნული საკითხი არ იქცა ჯერ 2021 წელს, ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმების", ხოლო შემდგომ ევროკომისიის 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით გაცემული რეკომენდაციების აღსრულების ნაწილი.[17] შედეგად, საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 13 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებით ნორმატიულ წესად დაადგინა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან,[18] ხოლო 2024 წლის 29 მაისის ცვლილებებით - სასამართლო აქტის მიღების მომენტიდან.[19]

1.1. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა

საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებით, გარკვეული აქტების მიმართ საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია. გამჭვირვალობის როლი განსაკუთრებულად იზრდება იმ საქმეებთან მიმართებით, სადაც არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ პოლიტიკური, ოლიგარქიული თუ სხვა არაფორმალური გავლენისა და შერჩევითი მართლმსაჯულების მაღალი რისკი, რაც განაპირობებს მათი მონიტორინგის მაღალ საჯარო ღირებულებას.

გადაწყვეტილების არაერთ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს გამჭვირვალობამ უნდა შექმნას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების არარსებობის შესახებ მყარი რწმენა[20] და გარკვეული მიკერძოების, ტენდენციებისა თუ სელექციური

[17] უფრო დეტალურად, საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ქრონოლოგიის შესახებ, იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, 14-15.
[18] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, matsne.gov.ge, 27/06/2023, 3129-XIმს-Xმპ. ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 1 იანვრი.
[19] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, matsne.gov.ge, 29/05/2024, 4218-XIVმს-Xმპ.
[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 47.

მართლმსაჯულების ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის გარანტიები.[21] საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, კონკრეტულ საქმეზე გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის დასადგენად უნდა შეფასდეს საქმის კატეგორია, სამართალწარმოების მონაწილეები თუ სხვა გარემოებები. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმის საილუსტრაციოდ სასამართლო ასახელებს, მაგალითად, სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირის მიმართ მიმდინარე საქმეებს.[22]

საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ სერიოზული კითხვის ნიშნებისა და საზოგადოებრივი ნდობის კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, მაღალი საჯარო ინტერესის საქმეებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ღირებულება განსაკუთრებით დიდია.

მართლმსაჯულების სისტემაში არაფორმალური (კლანური) გავლენები მთავარ სისტემურ გამოწვევად რჩება. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოსთან მიმართებით პირველად გაკეთდა რეკომენდაცია[23] კეთილსინდისიერების შემოწმების ექსტრაორდინარული მექანიზმის გამოყენების თაობაზე, რაც გულისხმობს სასამართლო სისტემაში, მათ შორის, მართლმსაჯულების სხვადასხვა ინსტიტუციაში დასაქმებული პირების თავსებადობის შესაბამისობის შემოწმებას მათ მიერ დაკავებულ თანამდებობასთან.

ამასთანავე, საქართველოსთან მიმართებით, საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტების მიერ არაერთხელ გაკეთდა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო სისტემა მოწყვლადია ოლიგარქიული გავლენების მიმართ.[24] აგრეთვე, წლების განმავლობაში გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, რომელიც მიუთითებს კორუფციაში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის

[21] იქვე, პარ. 65.
[22] იქვე, პარ. 66.
[23] European Commission, Communication on EU Enlargement Policy, COM(2023) 690 final, 2023, 25.
[24] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Final Opinion "On the draft law on De-Oligarchisation," 2023, პარ. 9: "„ოლიგარქები", სარგებლის მიღების მიზნით, ასევე სასამართლოზე არასასურველი და არასათანადო ზეწოლის განხორციელებასაც არ ერიდებიან".

ჩართულობაზე.[25] მათ შორის, საგამოძიებო ჟურნალისტიკის არაერთი პროდუქტით გამოვლინდა მოსამართლეთა დაუსაბუთებელი ქონების შესახებ ინფორმაცია,[26] ხოლო ზოგიერთი ყველაზე გავლენიანი მოსამართლე ან არ ახდენს საკუთარი ქონების სრულ დეკლარირებას[27] ან/და მიზანმიმართულად აბრკოლებს საკუთარი ფინანსური კეთილსინდისიერების შემოწმების პროცესს.[28]

აღნიშნული კონტექსტი ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ სასამართლო, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, სადაც პოლიტიკური დაინტერესება მაღალია, გადაწყვეტილებას იღებს არა მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ მის საზიანოდ, ვიწრო პოლიტიკური თუ სხვა მიზნების მისაღწევად.[29] შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებების ღიაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე, რომელთა მიმართაც, გონიერი დამკვირვებლის აღქმით, მაღალი ალბათობით, იარსებებს ხელისუფლების, თანამდებობის პირისა თუ არაფორმალური გავლენების მქონე პირების პოლიტიკური, ფინანსური თუ პირადი დაინტერესება და მაღალია მართლმსაჯულების განხორციელებაში კორუფციული და სხვა უკანონო ინტერესების გავლენა.

ასეთ საქმეებზე სასამართლო აქტების სრული და დაუბრკოლებელი ხელმისაწვდომობა მისცემს საზოგადოებას შესაძლებლობას, შეაფასოს რამდენად შერჩევითად გამოიყენა სასამართლომ სამართლებრივი თუ ფაქტობრივი შეფასებები და რამდენად ეყრდნობა მიღებული გადაწყვეტილება ობიექტურ, სამართლიან და კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამის განხილვას.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებით, სხვა საქმეებთან შედარებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე საჯაროობის ინტერესი

[25] U.S. Department of State, Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, 2023; ასევე, იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება.
[26] U.S Department of State, Country Reports on Human Rights Practices: Georgia, 2023, 16.
[27] იქვე.
[28] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება: კოალიცია ანტიკორუფციული ბიუროსთვის მოსამართლეთა ქონების შემოწმების შეჩერებას ეხმიანება.
[29] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება: კოალიცია ეხმიანება მოსამართლეებისთვის სანქციების დაკისრებას.

განსაკუთრებით მაღალია და შეუძლია კიდევ უფრო მეტად გადაწონოს კონფიდენციალურობის,[30] მათ შორის გადაწყვეტილებაში ასახული სენსიტიური ინფორმაციის დაცვის ინტერესი[31] სრულფასოვანი საზოგადოებრივი კონტროლის სასარგებლოდ.

1.2. არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების ასახვას საკანონმდებლო მოწესრიგებაში საკმაოდ ხანგრძლივი და პრობლემური გზის გავლა მოუწია.[32] 2023 წლის 13 ივნისს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შევიდა ცვლილებები, რომლითაც 2024 წლის 1 იანვრიდან, ნორმატიულ დონეზე არსებითად გაუმჯობესდა ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის სტანდარტი. კერძოდ, ზოგადი წესის სახით განისაზღვრა აქტების ხელმისაწვდომობა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო 2024 წლის 29 მაისის ცვლილებით - აქტის მიღების მომენტიდან.

ორგანული კანონის დღეს არსებული ჩანაწერის მიხედვით, „სასამართლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი ამ აქტის მიღებისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. არავის არ აქვს უფლება, ამ აქტის ტექსტი საჯაროდ გამოაქვეყნოს მისი დეპერსონალიზაციის გარეშე".[33]

---

[30] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 66.

[31] „სასამართლოს აქტში შესაძლებელია, ასახული იყოს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს პირად ცხოვრებაზე და ზიანსაც კი მიაყენებს მას. მაგალითად, სასამართლოს აქტში, შესაძლოა, მითითებული იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ინტიმური დეტალის შესახებ და ა.შ" .... „თუმცა ამა თუ იმ შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განსხვავებული იყოს კონკრეტული მონაცემის გავლენა პირადი ცხოვრების უფლებაზე და მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის ხარისხიც." (პარ. 57).

[32] უფრო დეტალურად, საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ქრონოლოგიის შესახებ, იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, 2024, 14-15.

[33] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტი.

ორგანული კანონი აქტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირს იმავე სტანდარტით აკისრებს დეპერსონალიზაციის ვალდებულებას, როგორც ეს სასამართლოს/იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ეკისრება პროაქტიული გამოქვეყნების ფარგლებში. აღნიშნული შეზღუდვა როგორც იურიდიული ტექნიკის მოთხოვნებთან, ასევე ორგანული კანონის მოქმედების სფეროსთან შეიძლება მოდიოდეს წინააღმდეგობაში და აბრკოლებდეს ამა თუ იმ მაღალი ინტერესის საქმეზე სრულფასოვანი ანალიტიკური პროდუქტის (მათ შორის, პერსონალური მონაცემების მითითებით) მომზადება/გავრცელებას. მიუხე-დავად ამისა, ნორმატიული მოწესრიგების თვალსაზრისით, დღეს მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერი ადგენს სასამართლო აქტების, მათ შორის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის აქტების სრული ტექსტის ხელმისაწვდომობის ზოგად წესს. ორგანული კანონის მოთხოვნებით, სასამართლოებს ევალებათ საჯარო ინფორმაციის განცხადებით მოთხოვნილი გადაწყვეტილება (მათ შორის შუალედური აქტი) გასცენ სრული ტექსტის სახით.

1.3. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები

სასამართლო აქტის/გადაწყვეტილების როგორც ინფორმაციის კატეგორიის მიმართ, მომეტებული საჯარო ინტერესის არსებობა აღიარებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. „დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს აქტების როლის და მათში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომლის ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს”.[34]

[34] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 51.

ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ყველა აქტის მიმართ საჯარო ინტერესის ხარისხი ერთნაირად მაღალია. სათანადო მაკვალიფიცირებელი გარემოებების არსებობისას, კიდევ უფრო იზრდება შესაბამის საქმეზე მიმდინარე მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებული აქტების და, ზოგადად, მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ინტერესი. აღნიშნულზე მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლო მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას შორის ბალანსზე მსჯელობისას და აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც სასამართლოს აქტი შეეხება არასრულწლოვანს, ადამიანის ინტიმურ ცხოვრებას სასამართლო აქტი შესაძლებელია გაიცეს საჯარო ინფორმაციის სახით, თუ საქმეში იკვეთება განსაკუთრებული (გაზრდილი/მომეტებული) საზოგადოებრივი ინტერესი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „მაგალითისთვის, თუ საქმე შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს, შესაძლოა, არსებობდეს მის მიმართ მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოირიცხოს ინფორმაციის დახურვის საფუძველი".[35]

წარმოდგენილი ანალიზი მიუთითებს, რომ მაღალი/მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია არ წარმოადგენს აბსოლუტურად განსაზღვრებად მოცემულობას და ამომწურავად ამგვარი ინფორმაციის ნუსხის შექმნა შეუძლებელია. სასამართლოს აქტი, როგორც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანი აღიარებული კონსტიტუციური სტანდარტის დონეზე. ამავე დროს, თუ არსებობს სათანადო მაკვალიფიცირებელი გარემოებები მართლმსაჯულების გამჭვირვალობის კონსტიტუციური ინტერესი კიდევ უფრო იზრდება და საჯარო ინფორმაციის გამცემმა პირმა ეს უნდა გაითვალისწინოს.

[35]იქვე, პარ. 66.

2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტები - მოთხოვნების შინაარსობრივი მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში მიზნებისთვის, IDFI-მ გამოყო მაკვალიფიცირებელი გარემოებები (ინდიკატორები), რომლებიც არსებითად ზრდის მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და შესაბამის საქმეებზე მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის საზოგადოებრივ ინტერესს. ამ ტიპის საქმეები გამოიყო საქმეთა რელევანტურობის გათვალისწინებით, შერჩევითი/სელექციური მართლმსაჯულების, მართლმსაჯულების პირადი, პოლიტიკური გამოყენების ისევე, როგორც კორუფციის რისკებისა და მართლმსაჯულების პოლიტიკური მედეგობის შესაფასებლად.

ზემოთ მითითებული მაკვალიფიცირებელი გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე შვიდი კატეგორია. თითოეული კატეგორიის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის ინდიკატორი შეიძლება ყოფილიყო საქმეში დაინტერესებული პირების სტატუსი, არსებული კონტექსტი, დავის საგნის ბუნება თუ მართლმსაჯულებაზე არამართლზომიერი გავლენის მოხდენის რისკები.

2.1. პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების ერთ-ერთ კატეგორიად, IDFI-მ დააიდენტიფიცირა პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები. ამ კატეგორიამ მოიცვა ის საქმეები, რომლებშიც სასამართლო სისტემა ასრულებს გამოხატვის, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებებისა და სამოქალაქო ჩართულობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტის ფუნქციას.

აღნიშნული კატეგორიის ქვეშ, IDFI-მ შეაფასა 2024 წლის აპრილ-მაისში, აგრეთვე 2024 წლის ნოემბრიდან ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე უწყვეტი პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ და ამ შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებით მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა. ამავე კატეგორიაში შეფასდა საზოგადოებრივი ჩართულობის ჩახშობისა და სამოქალაქო

ორგანიზაციების სამეთვალყურეო საქმიანობის შეზღუდვის მიზნით მართლმსაჯულების გამოყენების შემთხვევები, აგრეთვე წინა წლებში საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას დაკავებული დემონსტრანტების წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები.

2.1.1. პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები შეკრება-მანიფესტაციაში მონაწილე პირების წინააღმდეგ

2025 წლის 5 მარტს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის განცხადებებით[36] მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს. მოთხოვნილი იყო 2024 წლის აპრილსა და მაისში, აგრეთვე, 2024 წლის ნოემბრიდან ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებში მიმდინარე მასობრივ მანიფესტაციებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განჩინებების (მათ შორის, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების; აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/ძალაში დატოვების; კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ნებართვის ან/და კანონიერად ცნობის შესახებ; აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალიწინებული ყველა სხვა იძულების ღონისძიების (მათ შორის, დაკავების) გამოყენების თაობაზე), ყველა განაჩენისა და სხვა სასამართლო აქტის (როგორც შუალედური, აგრეთვე შემაჯამებელი) ასლი.

პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების იდენტიფიცირებისთვის, სახელმძღვანელო იყო არა იმდენად სადავო ქმედების შინაარსი თუ პირის მიმართ წაყენებული ბრალდების სამართლებრივი საფუძველი (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლ(ებ)ი), არამედ ამ საქმეების შემხებლობა მასობრივ საპროტესტო აქციებთან და სისხლისსამართლებრივი დევნის რეპრესიული ბუნება სახალხო პროტესტის ჩახშობის მიზნებისთვის. ამ საქმეების პოლიტიკური ხასიათის დადგენისთვის IDFI-მ იხელმძღვანელა

[36] FOI03/25-001 და FOI03/25-002 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.

როგორც საერთაშორისო, აგრეთვე ადგილობრივი დამკვირვებლების შეფასებებით.

ჯამში, ამ ქვეკატეგორიის ქვეშ, 41 მოთხოვნა გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 5 მოთხოვნა – ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, IDFI-ს არც ერთი სასამართლო აქტის ასლი არ მიუღია. ყველა მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. სასამართლოებს არც შუალედური პასუხი მოუწოდებიათ, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის განცხადებები შეიცავდა დათქმას, რომ IDFI მზად იყო ინფორმაცია მიეღო შეთანხმებული პერიოდულობით, თუკი აქტების შეგროვება და დამუშავება მოითხოვდა დამატებით ვადას.

2.1.2. საქმეები საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ

პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების კატეგორიაში, წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, მოექცა აგრეთვე 2024 წლის სექტემბერში, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ დაწყებული საქმეები.

კერძოდ, 2024 წლის 6 სექტემბერს, ანტიკორუფციულმა ბიურომ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სამოქალაქო მოძრაობა „აირჩიე ევროპას" დამფუძნებლების შესახებ ფინანსური ინფორმაციის მიღების უფლება მოითხოვა. ბიუროს მიენიჭა შესაძლებლობა, ბანკებს მოსთხოვოს ინფორმაცია სამოქალაქო მოძრაობისა და მისი დამფუძნებლების შესახებ.[37] ხოლო 2024 წლის 24 სექტემბერს, ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და მისი აღმასრულებელი დირექტორი - ეკა გიგაური განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად ცნო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ეს გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

[37] იხ. რადიო თავისუფლება, რატომ ამოწმებს ანტიკორუფციული ბიურო „აირჩიე ევროპას" და რატომ არის საშიში ეს პრეცედენტი?, სექტემბერი, 2024.

დასახელებული სამართალწარმოებები შეფასდა, როგორც „ქართული ოცნების" მიერ ანტიკორუფციული ბიუროს გამოყენება არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ[38] და სადამკვირვებლო მისიის მუშაობისთვის ხელშეშლის მცდელობა.[39]

IDFI-მ 2024 წლის 20 ნოემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის განცხადებით[40] და მოითხოვა დასახელებულ ორ საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო აქტის გაცემა. სასამართლომ 2024 წლის 2 დეკემბრის წერილით[41] ეს მოთხოვნა **არ დააკმაყოფილა**. ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად მიეთითა საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", რაც სრულად ეწინააღმდეგება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, აგრეთვე მოქმედ საკანონმდებლო მოწესრიგებას. IDFI-მ 16 დეკემბერს ადმინისტრაციული საჩივარი[42] შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის[43] შემდგომ, 2025 წლის 14 თებერვალს წარადგინა ადმინისტრაციული სარჩელი. ამჟამად დავა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

2.1.3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ

პოლიტიკური რეპრესიისა და გამოხატვის თავისუფლების ჩახშობის ერთ-ერთ ფორმად, წლების განმავლობაში აქტიურად გამოიყენებოდა შეკრება-მანიფესტაციებში მონაწილე აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავება და მათ წინააღმდეგ, უმეტესად, „წვრილმანი ხულიგნობისა" და „კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის" მუხლებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების წარმოება. ადმინისტრაციულ

[38] არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, პრემიერ-მინისტრი ანტიკორუფციულ ბიუროს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმისთვის იყენებს, სექტემბერი, 2024.
[39] იხ. სადამკვირვებლო მისია „ჩემი ხმა", წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, 2024, 13-14.
[40] FOI11/24-107 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[41] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 დეკემბრის წერილი N1-01157/9404-10464425.
[42] CPT11/24-107 ადმინისტრაციული საჩივარი.
[43] თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის ფუნქციების შემსრულებლის 2025 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება N10639773.

სამართალდარღვევათა შესახებ მოქმედი კანონმდებლობა და ამ პროცესების წარმოების ხარვეზიანობა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი როგორც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების,[44] ისე ადგილობრივი დამკვირვებლებისა[45] და სახალხო დამცველის[46] ანგარიშებით.

აღნიშნული კატეგორიის დავებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, IDFI დაეყრდნო თავის წინარე პრაქტიკას. კერძოდ, 2024 წლის 23 იანვარს, IDFI-მ გააგზავნა საჯარო ინფორმაციის ორი განცხადება[47] ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები შეეხებოდა 2023 წლის 31 ივლისს რუსეთიდან გამოსული საკრუიზო გემის წინააღმდეგ ბათუმის ნავსადგურთან გამართული საპროტესტო აქციის[48] მონაწილეებისა და მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ აქტივისტების წინააღმდეგ[49] წარმოებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე მიღებული დადგენილებების ასლის გადაცემას.

ორივე შემთხვევაში, IDFI-ს განცხადებები უპასუხოდ იქნა დატოვებული. მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის (2024 წლის 4 მარტი) შემდგომ, 2024 წლის 25 მარტს[50] ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ხოლო 2024 წლის 29 მარტს[51] - ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გასცა მოთხოვნილი დადგენილებების ასლები.

2.2. სასამართლო დავები ოლიგარქიული ინტერესებით და გავლენებით

მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებად, მართლმსაჯულების შერჩევითობის მაღალი რისკის გათვალისწინებით, დაიდენტიფიცირდა

[44] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების შემზღუდველ რეპრესიულ ცვლილებებზე, 2025.
[45] იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რა ხარვეზები აქვს საბჭოთა დროინდელ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს?, 2025.
[46] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის და წინა წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.
[47] FOI01/24-053 და FOI01/24-055 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.
[48] იხ. რადიო თავისუფლება, "უკვე მეტისმეტი იყო" - რამ გააბრაზა ბათუმის საპროტესტო აქციის მონაწილეები, 2023.
[49] იხ. პუბლიკა, ბრძოლის ხაზი ახლა სოფელი გუმათია, ყველას მოვუწოდებთ მოვიდნენ აქ - გოლეთიანი, 2021.
[50] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 მარტის წერილი N319-გ/კ.
[51] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 29 მარტის წერილი N4006-1.

აგრეთვე ისეთი სასამართლო დავები, რომელთა შედეგების მიმართ უშუალო (პირადი ან/და ფინანსური) დაინტერესება გააჩნია ბიძინა ივანიშვილს ან/და მასთან დაახლოებულ პირებს.

ვენეციის კომისიის მიხედვით, საქართველოში, განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გავლენის მქონე პირების, ოლიგარქების, გაუმჭვირვალე გავლენები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.[52] აღნიშნული გულისხმობს ოლიგარქების მიერ სახელმწიფოების იურისდიქციის უგულებელყოფას, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილებისა და გამიჯვნის მექანიზმებისთვის ძირის გამოთხრას და სარგებლის მიღების მიზნით მართლმსაჯულებაზე არასათანადო ზეწოლის განხორციელებას.[53] საქართველოში არსებობს ხელისუფლების სამივე შტოს დეფაქტო კონტროლის ნიშნები, რაც, სხვადასხვა შეფასებებით მოხსენიებულია როგორც სახელმწიფოს მიტაცება.[54]

საქართველოში, ოლიგარქიული გავლენების უმთავრეს წყაროდ მიიჩნევა „ქართული ოცნების" დამფუძნებელი, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც 2012 წლიდან დღემდე ეფექტიან კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო ინსტიტუტებზე, მათ შორის, სასამართლო სისტემაზე.

IDFI-მ 2025 წლის 5 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოსგან გამოითხოვა[55] 7 საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების ასლები - ჯამში 7 მოთხოვნა. აღნიშნული საქმეები[56] შეირჩა მათ მიმართ ოლიგარქიული გავლენების მოხდენის მაღალი რისკის ნიშნით. 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, IDFI-მ ვერც ერთ მოთხოვნასთან დაკავშირებით

[52] European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Final Opinion "On the draft law on De-Oligarchisation", 2023, პარ. 8
[53] იქვე, პარ. 9.
[54] იქვე, პარ. 10.
[55] FOI03/25-003 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[56] შერჩეული იქნა შემდეგი 7 საქმე: 1. გიორგი ბაჩიაშვილის წინააღმდეგ დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარე საქმე; 2. გადაწყვეტილებები ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივასა" და შპს RMG Gold-ს შორის მიმდინარე დავებზე; 3. გადაწყვეტილებები ნინო მიქიაშვილსა და შპს RMG Gold-ს შორს მიმდინარე დავაზე; 4. ე.წ. "ქოლცენტრების" საქმესთან დაკავშირებით ატლანტიკური საბჭოსა და მისი თანამშრომლების (სოფო გელავასა და ეთო ბუზიაშვილის) მიმართ მიღებული განჩინებები; 5. "ომეგა ჯგუფის" საქმე; 6. ტელეკომპანია "იბერია ტვ"-ს ლიცენზიის იძულებითი დათმობის საქმე; 7. ბანკი "ქართუს" ხელოვნურად გაკოტრების ბრალდებით მიმდინარე საქმე.

ინფორმაცია ვერ მიიღო. თბილისის საქალაქო სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის განცხადება.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ IDFI-ს 2024 წლის 23 იანვარს საჯარო ინფორმაციის განცხადებით[57] მოთხოვნილი ჰქონდა ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირის, უჩა მამაცაშვილის მიერ „ანტიკორუფციული მოძრაობის“ წინააღმდეგ აღძრულ „ცილისწამების” საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი.[58] მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ, ამ გადაწყვეტილების მოწოდებაზე სასამართლომ უარი განაცხადა. უარის საფუძვლად მიეთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც სასამართლოს განმარტებით, გამჟღავნებისგან იცავს სასამართლო აქტში ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ არსებულ ინფორმაციას.[59]

2.3. მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაინტერესებით მიმდინარე სასამართლო დავები

ანგარიშის მიზნებისთვის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ცალკე კატეგორიად გამოიყო სასამართლო აქტები ისეთ საქმეებზე, რომლებიც ატარებს სასამართლოში მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის (კლანის) მიერ მართლმსაჯულების ბოროტად გამოყენების ნიშნებს.

2.3.1. სასამართლო კლანის ჩარევა ხელისუფლების დანაწილების და დემოკრატიული კონტროლის საზიანოდ

2024 წლის 25 ივლისს, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის განცხადებები[60] გააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელთაგან პირველი ეხებოდა ოთხი მოსამართლის მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემოწმების

[57] FOI01/24-049 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[58] იხ. რადიო თავისუფლება, მოსამართლემ უჩა მამაცაშვილის სარჩელი "ანტიკორუფციული მოძრაობის" წინააღმდეგ ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 2022.
[59] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 აპრილის წერილი N1-0113/2056-2057-8577098.
[60] FOI07/24-006 და FOI07/24-007 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.

შეჩერებას, ხოლო მეორე - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად კახა წიქარიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თაობაზე მიმდინარე დავას.

2024 წლის 4 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ოთხი მოსამართლის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შემოწმების პროცესი გააჩერა.[61] აღნიშნული ფაქტი შეფასდა, როგორც კლანის წევრების მიერ სასამართლოს გამოყენების გზით ფინანსური კეთილსინდისიერების გადამოწმებისთვის თავის არიდება.[62] საჯარო ინფორმაციის განცხადებით, IDFI-მ მოითხოვა ოთხივე საქმესთან დაკავშირებით[63] გამოტანილი ის განჩინებები,[64] რომლითაც შეჩერდა დეკლარაციების შემოწმების პროცესი.

რაც შეეხება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თაობაზე მიმდინარე დავას, 2024 წლის 22 ივლისს, მოსამართლე ლიელა ფოლადიშვილმა დააკმაყოფილა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების შეფერხება შეფასდა, როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უხეში დარღვევა და სასამართლო ხელისუფლების თვითლუსტრაციის მორიგი, საგანგაშო ფაქტი.[65] IDFI-მ მოითხოვა[66] ამ განჩინების ასლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შაბლონური პასუხით, IDFI-ს უარი ეთქვა სასამართლო აქტების გაცემაზე. უარის საფუძვლად მიეთითა ერთი მხრივ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", ხოლო მეორე მხრივ -

[61] იხ. IDFI-ს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ერთობლივი განცხადება, მოსამართლეებმა სასამართლოს მეშვეობით ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მათი ქონების შემოწმების პროცესი გააჩერეს, 2024.

[62] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიცია ანტიკორუფციული ბიუროსთვის მოსამართლეთა ქონების შემოწმების შეჩერებას ეხმიანება, 2024.

[63] აღსანიშნავია, რომ ოთხივე საქმეს სხვადასხვა მოსამართლე განიხილავდა, თუმცა ოთხივე შემთხვევაში მოსარჩელეების მოთხოვნა - დროებითი ღონისძიების სახით სადავო აქტის შეჩერების შესახებ - დაკმაყოფილდა.

[64] მოსარჩელე ვასილ მშვენიერაძის ადმინისტრაციული საქმე N3/2045-23; მოსარჩელე სერგო მეთოფიშვილის ადმინისტრაციული საქმე N3/2032-24; მოსარჩელე ლევან მურუსიძის ადმინისტრაციული საქმე N3/2044-24; მოსარჩელე მიხეილ ჩინჩალაძის ადმინისტრაციული საქმე N3/2043-24.

[65] იხ. კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, კოალიცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესის შეჩერებას ეხმიანება, 2024

[66] FOI07/24-006 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

მოთხოვნილი ფორმით სასამართლო აქტების დამუშავებისა და აღრიცხვის შეუძლებლობა.[67] 2024 წლის ნოემბერში, IDFI-მ ხელახლა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ორგანიზაციას მოთხოვნა კვლავ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხზე, IDFI-მ, 2025 წლის 14 თებერვლის სარჩელით, დავა დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოში.

დემოკრატიული კონტროლის ხელშეშლის შემთხვევებთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ IDFI-ს 2024 წლის 23 იანვარს,[68] გამოთხოვილი ჰქონდა იმ პერიოდში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, შალვა თადუმაძის მიერ ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციის არასწორად შევსების გამო საჯარო სამსახურის ბიუროს განკარგულების (დაჯარიმების თაობაზე) ბათილად ცნობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე, აქტის გასაჩივრების ფაქტი გამოყენებული იქნა შალვა თადუმაძის დეკლარაციაზე საჯაროობის ხელმისაწვდომობის შესაზღუდად.[69] მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ, IDFI-ს უარი ეთქვა აღნიშნული გადაწყვეტილების მოწოდებაზე. უარის მიზეზად დასახელდა აქტში მითითებული პირების შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაუშვებლობა (კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტზე მითითებით).[70]

2.3.2. მოსამართლეების მიერ წარდგენილი სხვა სარჩელები

2025 წლის 5 მარტს IDFI-მ საჯარო ინფორმაციის 12 მოთხოვნა[71] გააგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მოთხოვნილი იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეების დაინტერესებით აღძრულ საქმეებზე მიღებული აქტები. მათგან 11 მოთხოვნა შეეხებოდა მოსამართლეების

[67] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 8 აგვისტოს წერილი N3-0187/9732924-9732887.
[68] FOI01/24-049 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[69] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციის შემოწმების შედეგების გასაიდუმლოება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის და კონვენციის მოთხოვნებს, 2023.
[70] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 აპრილის წერილი N1-0113/2056-2057-8577098.
[71] FOI03/25-004 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების თაობაზე სასამართლო დავებს,[72] ხოლო 1 მოთხოვნა - მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის მიერ აღძრულ „ცილისწამების" საქმეს.[73]

2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ყველა მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული.

2.4. სასამართლო დავები, რომლებშიც დავის საგანი აღემატება რამდენიმე მილიონ ლარს

მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესის დამატებით კატეგორიად განისაზღვრა აგრეთვე საქმეები, რომლებშიც დავის საგანი აღემატება რამდენიმე მილიონ ლარს. საქართველოს ეკონომიკის მოცულობისა და მისი არასტაბილურობის გათვალისწინებით, მხოლოდ დავის საგნის ეს ოდენობაც კი შეიძლება საკმარისი მაჩვენებელი იყოს საქმეში მაღალი კორუფციული რისკისა და სხვა არამართლზომიერი ჩარევის არსებობის შესახებ.

IDFI-მ ღია წყაროებზე დაყრდნობით გამოავლინა 5 ასეთი საქმე.[74] მათგან 4 მოთხოვნა გაიგზავნა[75] თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ერთი მოთხოვნა[76] - ბათუმის საქალაქო სასამართლოში. საჯარო ინფორმაციის განცხადებები გაიგზავნა 2025 წლის 5 მარტს, თუმცა 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობითაც, IDFI-მ ვერ შეძლო ვერც ერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და სხვა აქტების მიღება. ორივე სასამართლომ უპასუხოდ დატოვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები.

---

[72] მოსამართლეების: მაკა გველესიანის, ლევან გელოვანის, ინდირა მაშანეიშვილის, მაია გიგაურის, ლელა ცანავას, ანაიტ ოგანესიანის, დავით ნარიმანიშვილის, არარატ ესოიანის, ნინო ბუაჩიძის, დავით სვანაძისა და მაკა ჭედიას სარჩელები სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" წინააღმდეგ, დიპლომების აღიარების თაობაზე.

[73] თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება, მოსამართლემ შელახული ღირსება აღიდგინა, 2017.

[74] 1. „ვიბრო დიაგნოსტიკის" სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის" წინააღმდეგ; 2. „სს თბილისის თამბაქოს" სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ შპს "ფილიპ მორის საქართველოს წინააღმდეგ"; 3. „თბილავიამშენის" ყოფილი აქციონერების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; 4. შპს „ბაზელის" ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე; 5. შპს „ბაზელის" სარჩელი ყადაღით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

[75] FOI03/25-006 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[76] FOI03/25-005 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

2.5. მაღალი თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი თუ ფინანსური ინტერესები

საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა საჯარო ფიგურებზე, ძირითადად პოლიტიკოსებზე მაღალია. თანამდებობის პირების საქმიანობის მიმართ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი ბუნებრივად არსებობს და მათ უნდა გამოიჩინონ ამ ინტერესის მიმღებლობა.[77]

ვინაიდან თანამდებობის პირების, პოლიტიკოსებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ მომეტებულ საზოგადოებრივ ინტერესს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები მნიშვნელოვან დაცულ ღირებულებად მიიჩნევს, ანგარიშის მიზნებისთვის შეფასდა სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის დაინტერესებით მიმდინარე საქმეებზე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა.

2.5.1. „ქართული ოცნების" მაღალი თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების დაინტერესებით მიმდინარე საქმეები

2025 წლის 5 მარტს, IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან მოითხოვა[78] თბილისის მერის, კახა კალაძის სარჩელზე „ტელეკომპანია პირველისა" და მისი ჟურნალისტის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების ასლი, რომლითაც სასამართლომ დაადგინა „ცილისწამების" ფაქტი და მორალური ზიანის სახით 15 ათასი ლარის გადახდა დააკისრა მედიას.[79] აგრეთვე, 2025 წლის 5 მარტის განცხადებებით,[80] IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებიდან გამოითხოვა ირაკლი კობახიძის დედის სარჩელის საფუძველზე „ტელეკომპანია პირველისა" და მისი ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება „ცილისწამების" საქმეზე.[81]

---

[77] Nadtoka v. Russia, no. 38010/05, 31 May 2016, პარ. 42.
[78] FOI03/25-007 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[79] იხ. რადიო თავისუფლება, "TV პირველსა" და მის წამყვანს სასამართლომ კალაძისთვის 15 ათასის გადახდა დააკისრა, 2022.
[80] FOI03/25-007 და FOI03/25-008 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.
[81] იხ. პუბლიკა, კობახიძის დედამ „TV პირველს" სასამართლო დავა მოუგო, 2022.

2025 წლის 5 მარტს, ამავე კატეგორიის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოსგან IDFI-მ გამოითხოვა[82] სასამართლო აქტები საქმეზე, რომელშიც მაღალი ალბათობით, იკვეთებოდა „ქართული ოცნების" შინაგან საქმეთა მინისტრის - ვახტანგ გომელაურის დაინტერესება.[83]

დასახელებული ყველა მოთხოვნა თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მიერ უპასუხოდ იქნა დატოვებული.

ამავე კატეგორიაში მოექცა აგრეთვე IDFI-ს მიერ მედიის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში გამოთხოვილი ინფორმაცია და მასზე მიმდინარე სამართალწარმოება. კერძოდ, 2024 წლის 11 სექტემბერს, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის განცხადებით გამოითხოვა გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის მე-10 მოწვევის წევრის - ნინო წილოსანის მამის, ბადრი წილოსანისა და მისი ბიზნესპარტნიორების საქმეზე, რომელიც შეეხება 65 მილიონის ლარის სავარაუდო მითვისება-გაფლანგვას.[84]

სასამართლომ 2024 წლის 16 სექტემბრის პასუხით[85] არ დააკმაყოფილა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის არც განცხადება, ხოლო 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით[86] - არც ადმინისტრაციული საჩივარი. უარის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა, რომ **გადაწყვეტილება შეიცავს პერსონალურ მონაცემებს**, შესაბამისად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს ეს ინფორმაცია. ამჟამად, ინფორმაციის გაცემაზე სასამართლოს უარი გასაჩივრებულია. თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო 2024 წლის 17 დეკემბერს.

[82] FOI03/25-007 საჯარო ინფორმაციის განცხადება.
[83] იხ. გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი" გასული სიუჯეტი, ინსპექტორის გამაოგნებელი ჩვენება, რომელმაც მინისტრის სიძის გაჩერება გაბედა, 2024.
[84] იხ. პუბლიკა, 65 მილიონის მითვისება-გაფლანგვის საქმეზე წილოსანის მამა სააპელაციომ გაამართლა, 2024.
[85] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 16 სექტემბრის წერილი N1-01132/31496.
[86] თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერის ფუნქციების შემსრულებლის 2024 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება N10076950.

2.5.2. ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირების მიმართ წარმოებული საქმეები

2025 წლის 5 მარტს, IDFI-მ რუსთავის საქალაქო სასამართლოსგან გამოითხოვა[87] ქ. რუსთავის მერის მიერ რუსთავის საკრებულოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეზე,[88] აგრეთვე მარნეულის მუნიციპალიტეტის ყოფილი მერის, თემურ აბაზოვის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე[89] მიღებული სასამართლო აქტები.

2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მხრიდან აღნიშნული მოთხოვნები უპასუხოდ იქნა დატოვებული.[90]

ამავდროულად, 2024 წლის 23 იანვარს, IDFI-ს ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან გამოთხოვილი ჰქონდა[91] ქ. ბათუმის ყოფილი მერის, გიორგი ერმაკოვისა და ბათუმის მერიის ექვსი ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ კორუფციის ფაქტზე მიმდინარე საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მოთხოვნები უპასუხოდ იქნა დატოვებული, თუმცა ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2024 წლის 25 მარტს,[92] ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2024 წლის 4 აპრილს[93] გასცა მოთხოვნილი გადაწყვეტილებები.

---

[87] FOI03/25-009 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[88] იხ. რუსთავის მერის, ნინო ლაცაბიძის განცხადება: ეს არ იყო პროცესი, რუსთავის მერია საკრებულოს წინააღმდეგ, ეს იყო პროცესი, რუსთავი და რუსთაველები ნაციონალური მოძრაობისა და გახარიას პარტიის დაჯგუფების წინააღმდეგ, 2024.

[89] იხ. Civil.ge, სასამართლომ მარნეულის ყოფილი მერი თემურ აბაზოვი გაამართლა, 2020.

[90] საჯარო ინფორმაციის განცხადების წარდგენის შემდგომ, IDFI-ს სატელეფონო კომუნიკაციის გზით დაუკავშირდა სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელმაც დაადასტურა წერილის მიღება და აღნიშნა, რომ პასუხი IDFI-ს კანონით დადგენით ვადაში მიეწოდებოდა. თუმცა, წერილობითი პასუხი განცხადებაზე IDFI-ს 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით არ მიუღია.

[91] FOI01/24-053 და FOI01/24-055 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.

[92] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 მარტის წერილი N319-გ/კ.

[93] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 4 აპრილის წერილი N209-2/10.

2.6. გახმაურებული საქმეები

IDFI-მ წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის აგრეთვე შეაფასა რამდენიმე ე.წ. გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა. ჯამში შეირჩა 14 საქმე,[94] რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში იწვევდა მაღალ საზოგადოებრივ დაინტერესებას. ამ კატეგორიის ფარგლებში, საქმეთა შერჩევისას, IDFI-მ იხელმძღვანელა მათი გაშუქების ინტენსივობითა და სახელმწიფოს ეფექტიანი რეაგირების მიმართ საზოგადოების ლეგიტიმური დაინტერესების კრიტერიუმებით.

2024 წლის 23 იანვარს, IDFI-ს გაგზავნილი ჰქონდა 10 მოთხოვნა თბილისის,[95] ბათუმის,[96] ქუთაისის[97] საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო[98] და ზუგდიდის რაიონულ[99] სასამართლოებში. მოთხოვნები შეეხებოდა 9 გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. 2025 წლის 5 მარტს, IDFI-მ დამატებით 5 მოთხოვნა გააგზავნა[100] თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში.

დასახელებული 15 მოთხოვნიდან, თხუთმეტივე დარჩა უპასუხოდ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ, 2024 წლის 25 მარტს[101] გასცა 2021 წლის 8 ოქტომბერს ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების ასლები.

---

[94] 1. მარიტა მეფარიშვილის გარდაცვალების საქმე; 2. თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმე; 3. თაბარ ბაჩალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულების შესაძლო ფალსიფიკაციის ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე; 4. "საქართველოს ბანკის" ზუგდიდის ფილიალზე თავდასხმის გამო ბადრი ესებუას წინააღმდეგ მიმდინარე საქმე; 5. ქ. რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრში მომხდარი ოთხი პირის მკვლელობის საქმე; 6. 14 წლის აითაჯ შახმაროვას განზრახი მკვლელობისა და ქორწინების იძულების საქმე; 7. 2021 წლის 8 ოქტომბერს, ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის საქმე; 8. თურქი ბიზნესმენის, გალიფ ოზთურქის წინააღმდეგ მიმდინარე საქმე; 9. ქალაქ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უარის ბათილად ცნობის საქმე; 10. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება „აიისა"-ს სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე; 11. 2021 წლის 5 ივლისს, ჟურნალისტებზე ძალადობის გამო მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები; 12. გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმე; 13. ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის საქმე. 14. ქუთაისში „საქართველოს ბანკის" ფილიალზე თავდასხმის საქმე.

[95] FOI01/24-049 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[96] FOI01/24-053 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[97] FOI01/24-055 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[98] FOI01/24-052 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[99] FOI01/24-054 საჯარო ინფორმაციის განცხადება.

[100] FOI03/25-009 და FOI03/25-010 საჯარო ინფორმაციის განცხადებები.

[101] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 25 მარტის წერილი N319-გ/კ.

2.7. ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის საქმეები

2024 წლის 20 ნოემბერს IDFI-მ თბილისის საქალაქო სასამართლოსგან გამოითხოვა ყოფილი მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენები (სულ - სამი მოთხოვნა).[102] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებით, მაღალი საჯარო ინტერესი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების საქმიანობაზე ბუნებრივად არსებობს,[103] რაც, მათ შორის, დადასტურებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც.[104]

IDFI-ს მოთხოვნები მიემართებოდა ისეთ განაჩენებს, რომელთა უმრავლესობაზე საქმისწარმოება დასრულებულია. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გასცა აღნიშნული გადაწყვეტილებები. IDFI ამ უართან დაკავშირებით სასამართლო დავას აწარმოებს.

საგულისხმოა, რომ 2024 წლის 23 იანვარს, IDFI-ს იმავე საქმეებზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებები გამოთხოვილი ჰქონდა საქართველოს უზენაესი სასამართლოდანაც. თავდაპირველად, მოთხოვნა უპასუხოდ იქნა დატოვებული, რაც ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა. საჩივარზე მიღებული 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით[105] უზენაესი სასამართლოს მენეჯერმა არ დააკმაყოფილა IDFI-ს მოთხოვნა. უარის საფუძვლად დასახელდა ის, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2024 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებულ ცვლილებებს „არ აქვთ უკუძალა" და საჯარო ინფორმაციის უფლება ამ თარიღამდე მიღებულ გადაწყვეტილებებზე არ ვრცელდება.

---

[102] მოთხოვნილი იყო საქართველოს მე-3 პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის - ივანე მერაბიშვილის და თბილისის ყოფილი მერის - გიგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები.

[103] გამომდინარე იქიდან, რომ ეს პირები საკუთარი გააზრებული ქმედებით თავიანთ საქმიანობას და სიტყვას უქვემდებარებენ საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ დაკვირვებას (იხ. case of Drakšas v. Lithuania, (Application no. 36662/04), 2012, პარ. 61).

[104] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 66.

[105] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მენეჯერის 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება N№ბ-87-24, ბ-88-24.

3. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა პრაქტიკაში - შედეგების შეჯამება

პრაქტიკაში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის შეფასების მიზნით, IDFI-მ სხვადასხვა კრიტერიუმით შერჩეულ საქმეებზე 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 5 მარტის ჩათვლით საერთო სასამართლოებში წარადგინა 111 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა.[106]

№	კატეგორია	მოთხოვნის რაოდენობა	არ დაკმაყოფილდა განცხადების პასუხად	დაკმაყოფილდა განცხადების პასუხად	დარჩა უპასუხოდ
1	პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები	50	2	0	48
2	სასამართლო დავები ოლიგარქიული ინტერესით და გავლენებით	8	0	0	8
3	მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის დაინტერესებით მიმდინარე სასამართლო დავები	18	5	0	13
4	სასამართლო დავები, რომლებშიც დავის საგანი აღემატება რამდენიმე მილიონს ლარს	5	0	0	5
5	მაღალი თანამდებობის პირების და მათი ოჯახის წევრების პირადი თუ ფინანსური ინტერესები	9	1	0	8
6	გახმაურებული საქმეები	15	0	0	15
7	ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების სისხლის სამართლის საქმეები	6	3	0	3

[106] IDFI-ს მიერ გაგზავნილ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილებში გაერთიანებული იყო რამდენიმე მოთხოვნა. წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, რაოდენობრივი მაჩვენებლის დათვლისას, მხედველობაში მიიღება წარდგენილი შინაარსობრივი მოთხოვნების და არა თავად წერილების რაოდენობა.

3.1. შედეგების რაოდენობრივი და შინაარსობრივი ანალიზი

აღსანიშნავია, რომ IDFI-ს, **საჯარო ინფორმაციის განცხადებაზე პასუხად**, სასამართლო აქტების ასლები **არც ერთ შემთხვევაში არ მიეწოდა.** სახელდობრ, 111 მოთხოვნიდან არც ერთი დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის განცხადებაზე პასუხად.

საყურადღებოა ასევე, უპასუხოდ დატოვებული საჯარო ინფორმაციის განცხადებების რაოდენობრივი მაჩვენებელი. **2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით, გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებიდან დაახლოებით 90% (111 მოთხოვნიდან 100 მოთხოვნა) უპასუხოდ დარჩა, დანარჩენ შემთხვევაში (11 მოთხოვნა) IDFI-ს უარი ეთქვა საჯარო ინფორმაციის განცხადების პასუხად სასამართლო აქტის გაცემაზე.**



„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სასამართლო აქტები გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ინფორმაციის მიღება ისეთივე პროცედურას და ადმინისტრაციულ კანონმდებლობას ექვემდებარება, როგორც სხვა საჯარო ინფორმაცია. რეაგირების გარეშე დატოვებულ თითოეულ მოთხოვნაზე გასულია კანონმდებლობით განსაზღვრული მაქსიმალური, 10-დღიანი ვადა.

2025 წლის 20 იანვარს, IDFI-მ გამოაქვეყნა ანგარიში,[107] რომელიც ემყარება 2022-2024 წლებში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით IDFI-ს ადმინისტრაციულ და სასამართლო პრაქტიკას. ანგარიშმა აჩვენა, რომ

[107] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება: მედია და საზოგადოება სისტემური უკანონობის პირისპირ, 2025.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის უკუსვლა, მათ შორის, აისახა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესებაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემისას უმეტეს შემთხვევაში, სახეზეა საჯარო დაწესებულებების მხრიდან ყველაზე საბაზისო კანონისმიერი ვალდებულებების უგულებელყოფა. მოთხოვნილი ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით მიღება არის უკიდურესად საგამონაკლისო შემთხვევა, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი პირები აწყდებიან არაერთ პრაქტიკულ დაბრკოლებას.

IDFI-ს დაკვირვებით, სასამართლოების შემთხვევაშიც, მეტწილად თავს იჩენს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები, გამოწვეული უკანონო პრაქტიკით.

რეაგირების გარეშე დატოვებული მოთხოვნების მაღალი მაჩვენებელი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ.[108] მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, ინფორმაციის გაცემის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.[109] ამავდროულად, კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი.[110] წინამდებარე ანგარიშის თანახმად, გამოვლენილი რაოდენობრივი მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე სასამართლო აქტების გამოთხოვისას, სასამართლოები არ იცავენ კანონმდებლობის საბაზისო ფორმალურ მოთხოვნებს და უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარი რეაგირების გარეშე ტოვებენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებს.

მოთხოვნილი ფორმით სასამართლო აქტების დამუშავებისა და აღრიცხვის შეუძლებლობაზე მითითება: იმ საგამონაკლისო შემთხვევებში,

[108] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 40.
[109] იქვე, მუხლი 41.
[110] იქვე.

როდესაც სასამართლო რეაგირებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებზე, სასამართლო აქტის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებს მიზეზებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

საგულისხმოა, რომ არაერთ შემთხვევაში, როდესაც IDFI ითხოვდა ძალიან ცხადი და არაორაზროვანი ნიშნების[111] მიხედვით იდენტიფიცირებულ საქმეს, სასამართლოების პასუხი იყო, რომ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით საქმეებს არ ამუშავებს. ამგვარი პრაქტიკით, სასამართლოები, განმცხადებელს აკისრებენ ტვირთს, რომ გამოსათხოვი გადაწყვეტილებები დააიდენტიფიციროს მხოლოდ იმ კრიტერიუმების/სტატისტიკის ფორმების მიხედვით, რაც სასამართლოების შიდანორმატიული აქტების მიხედვით (ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება არც ამ აქტების მიხედვით) იყოს განსაზღვრული. აღნიშული მიდგომა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს და საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას პრაქტიკულად არარეალიზებადად აქცევს.

ამავდროულად, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ერთ-ერთ განცხადებასთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ თითქოს მოქმედი კანონმდებლობა მას უკრძალავს ინდივიდუალური ნიშნებით[112] იდენტიფიცირებული საქმეების მოძიებასა და გაცემას. აღნიშნული განმარტება ერთი მხრივ ეწინააღმდეგება საჯარო ინფორმაციის მომწესრიგებელ კანონმდებლობას,[113] ხოლო მეორე მხრივ საჯარო ინფორმაციის სახით სასამართლო აქტის მიღებას პრაქტიკულად კიდევ უფრო მეტად აღუსრულებელ უფლებად აქცევს. დაინტერესებულ პირს ერთმევა შესაძლებლობა მისთვის საინტერესო საქმეზე (განსაკუთრებით, როცა კონკრეტულ, მომეტებული საზოგადოების ინტერესის საქმეს შეეხება მოთხოვნა, რომლის მიღებისთვისაც, ბუნებრივია, რომ მოთხოვნის საგანი - კონკრეტული საქმე - სწორედ ინდივიდუალური და არა გვარეობითი ნიშნებით იქნება იდენტიფიცირებული) მიიღოს აქტი მაშინაც, როდესაც ყველაზე ცხადი

[111] მათ შორის, დავის მხარეები, დავის საგანი, განმხილველი მოსამართლე და, ზოგჯერ, საქმის ნომერიც კი.
[112] სადაც მხარის პერსონალური ინფორმაცია ან კონკრეტული დავის საგანია იდენტიფიცირებული.
[113] იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება: მედია და საზოგადოება სისტემური უკანონობის პირისპირ, 2025, 14.

და არაორაზროვანი ნიშნებით (მხარეები, დავის საგანი, განმხილველი მოსამართლე და სხვ.) აიდენტიფიცირებს საქმეს.[114]

პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მითითებით საჯარო ინფორმაციის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი: იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სასამართლო პასუხობს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებას, ხშირია, პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე მითითებით, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მათ შორის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებთან მიმართებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში ინფორმაციის საჯაროობის სასარგებლოდ საკითხი დარეგულირდა 2023 და 2024 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რომლის მიზანი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება. ახალმა ნორმატიულმა მოწესრიგებამ, უფრო მაღალი იერარქიის მქონე ნორმატიულ აქტში - ორგანულ კანონში დაადგინა სასამართლო აქტების საჯაროობის ზოგადი წესი და მოხსნა ამ აქტების მიღებასთან დაკავშირებული ნორმატიული დაბრკოლებები. **მიუხედავად ამისა, სასამართლო აგრძელებს კანონმდებლობის ცხადი მოთხოვნის დარღვევას და პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ფორმალური მითითებით ხშირად უარს ამბობს ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტის ასლის გაცემაზე.** მაგალითად, ერთ-ერთ მოთხოვნასთან მიმართებით სასამართლომ თავისი განმარტებით გამორიცხა რაიმე ფორმით სასამართლო აქტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა, თუკი მასში, თუნდაც არაპირდაპირ იკვეთება მხარის, მესამე პირის ან/და სხვა პირების პირადი ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები რისი გაცემაც მხოლოდ ამ სუბიექტების თანხმობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. მეტიც, საჩივრის ზეპირი განხილვის ფარგლებში სასამართლო კიდევ უფრო შორს წავიდა და აღნიშნა, რომ მას არათუ გადაწყვეტილების გაცემა, არამედ ფაქტის დადასტურებაც კი ეკრძალება, რომ ამა თუ იმ პირის მონაწილეობით სასამართლოში მიმდინარეობს ან მიმდინარეობდა დავა.

[114] IDFI-ს განცხადების შემთხვევაში, დაიდენტიფიცირებული იყო როგორც მოსარჩელე და მოპასუხე მხარეები, ასევე სადავო აქტი (დავის საგანი), განმხილველი მოსამართლე და საქმის ნომერი.

ადმინისტრაციული საჩივრის მექანიზმი: მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანგარიშის მიზანს არ წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის ეფექტიანობის შეფასება და IDFI-ს თითოეულ უპასუხოდ დატოვებულ ან დაუკმაყოფილებელ მოთხოვნაზე არ წარუდგენია ადმინისტრაციული საჩივარი, ორგანიზაციის გამოცდილება იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით გარკვეული ტენდენციების გამოსავლენად. მიღებული პასუხების გასაჩივრებისას, თუკი სხვა საჯარო დაწესებულებებთან მიმართებით შეიმჩნევა ადმინისტრაციული საჩივრების განუხილველობის, მინიმალური ფორმალური მოთხოვნების დაუცველობის პრაქტიკა,[115] სასამართლოები, როგორც წესი, არ არღვევენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ფორმალურ მოთხოვნებს და საჩივრები განიხილება სათანადო პროცედურით. საჩივრებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც, ფორმალური თვალსაზრისით, აკმაყოფილებს კანონის მინიმალურ სტანდარტებს. თუმცა, მატერიალური თვალსაზრისით, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი პირი, უმეტესწილად იზიარებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უკანონო განმარტებებს და პრაქტიკულ დონეზე არ ავრცელებს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის იმ სტანდარტს, რასაც ორგანული კანონი ადგენს.

[115] უფრო დეტალურად, იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ინფორმაციის თავისუფლება: მედია და საზოგადოება სისტემური უკანონობის პირისპირ, 2025, 15-17.

დასკვნა

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე მიღებული სასამართლო აქტები საზოგადოებისთვის კვლავ არ არის ხელმისაწვდომი. საერთო სასამართლოების სისტემა არღვევს საქართველოს კონსტიტუციასა და „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონს.

წლების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო სტანდარტის არსებითად გაუმჯობესებამ პრაქტიკაში არსებული სისტემური გამოწვევები დიდწილად უცვლელი დატოვა.

საერთო სასამართლოების სისტემა არა მხოლოდ უგულებელყოფს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის თაობაზე არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების შინაარსობრივ მხარეს, არამედ არღვევს კანონმდებლობის საბაზისო ფორმალურ მოთხოვნებსაც.

კანონმდებლობის განგრძობითი დარღვევა ადასტურებს, რომ არაფორმალური გავლენებით მართული სისტემა განზრახ არიდებს თავს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, რაც თავის მხრივ არსებითად ზღუდავს სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივ ზედამხედველობას.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

info@idfi.ge

+ 995 32 292 15 14

www.idfi.ge